წარმოგიდგენთ ტესტის რამდენიმე ნიმუშს, ოლიმპიადაზე დაგხვდებათ 35-40 საკითხი.

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბას იგავ-არაკი ,,გლახაკი და ერთი ქილა ერბო“ და უპასუხეთ კითხვებს:

-ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბო ჰპოვა. აიღო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზე შეიდვა. დაიწყო გზა-გზა სვლა და გულთა ამასა უბნობდა:

– აწ გამდიდრება მოინდომა ღმერთმან ჩემი. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი: მით თორმეტს ქათმის სამამლე წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ და ორ-ორ მარჩილად დავყიდი.

მერმე მით სახარე ხბორებს ვიყიდი, დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქმნები.

და ამ გულისთქმაში შეშა აუდვა და ქალაქს გასასყიდლად წამოიღო.

ერთი ხიდი დახვდა. თქვა მან კაცმან: აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავცეო. შესძახა: ჰარიო! დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა.

1. რა იპოვა გლახაკმა?
   ა. ქოთანი ბ. ერთი ქილა ერბო გ. ერთი ქილა მაწონი
2. რა გაიფიქრა გლახაკმა, რისი ნიშანი იყო ნაპოვნი?
   ა. ვიღაცამ მახე დაუგო.
   ბ. მეგობარი გაეხუმრა ამ გზით.
   გ. ღმერთს მისი გამდიდრება სურდა.
3. ,,მარჩილი“ და ,,აბაზი“ არის:
   ა. სიგრძის საზომი ერთეულები.
   ბ. სიმაღლის სზომი ერთეულები.
   გ. ფულის ერთეულები.
4. როდის ,,შეიქმნება გლახაკი აშენებული“?
   ა. როცა წიწილებს იყიდის.
   ბ. როცა ხარებს იყიდის და ხვნა-თესვის შესაძლებლობა მიეცემა.
   გ. როცა გოჭებს იყიდის.
5. რა <u>არ</u> არის იგავის მთავარი სათქმელი?
   ა. ადამიანი თავისუფალია ოცნებაში, მაგრამ გადაჭარბებული ოცნება ფუჭია.
   ბ. მხოლოდ ოცნება არ არის საკმარისი, მიზნის მისაღწევად უნდა იშრომო.
   გ. გულკეთილი და შრომისმოყვარე ადამიანები ყოველთვის წარმატებულები არიან.

შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:
შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:

6. ,, — ბეჟან! — დატუქსვის ხმით დაუძახა უმცროსმა თავის ძმას.“
   ა. გაჯავრებით ბ. სიცილით გ. ღიმილით
7. ,,— დავით, გეყოფა, კარგი!.. — უთხრა უმცროსმა, თითქო წყრომითაც და ვედრებითაც.“
   ა. გაჯავრებით ბ. მხიარულად გ. ალერსით
8. ,,მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა.“
   ა. მომცინარ სახეზე ბ. დაღვრემილ სახეზე გ. გაოცებულ სახეზე
9. ,,იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე — მეორესა.“
   ა. აბგა ბ. ეტლი გ. სათამაშო
10. ,,მას აქეთ, რაც ის ხიფათი შეემთხვა, ხელი აიღო მეურმეობაზედ.“
    ა. წარმატება ბ. სიხარული გ. საფრთხე

შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:

11. ,, ბევრგან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ჟრიამული და ყაყანი გაჰქონდათ.“
    ა. სიხარული ბ. ჟივილ-ხივილი გ. კვნესა
12. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,,პეტრეც ერთს ამ ჯგუფში გაერია, ერთი შევიტყო, რას ყაყანებენო.“
    ა. ჩურჩული ბ. ყვირილი გ. სიმღერა
13. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,, წინ ფართო მოედანი ხალვათად იყო, არავის არ უშვებდნენ ახლო.“
    ა. გადაჭედილი ბ. ხმაურიანი გ. მშვიდი
14. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,, შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში.“
    ა. მსუბუქი ბ. მწარე გ. მშრალი

ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

15. ,,წარბი შეკრა“ ანუ:
    ა. მოიღუშა ბ. გაახარა გ. აკისკისდა
16. ,,ზურგი შეაქცია“ ანუ:
    ა. დაეხმარა ბ. ჩაეხუტა გ. მიატოვა
17. ,,ყური არ ათხოვა“ ანუ:
    ა. კარგად მღერის ბ. არ მოუსმინა გ. უამბო
18. ,,წარბი გაუხსნა“ ანუ:
    ა. სცემა ბ. გაუღიმა გ. დაეთანხმა
19. ,,ხელი აიღო“ ანუ:
    ა. უარი თქვა ბ. დაეთანხმა გ. იცეკვა